N16/10/19

16.10.2019 წელი

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

ქალბატონო/ბატონო,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 10 სექტემბერს მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი N6/52863 წერილი. აღნიშნული წერილის თანახმად, ითხოვთ ჩვენს მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. N21-ში მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხზე.

მოგმართავთ წინამდებარე წერილით და გაცნობებთ, რომ საპრივატიზებო ტერიტორიას კვეთს ჩვენს საკუთრებაში არსებული ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ 01.02.277), კერძოდ ბუნებრივი გაზის მილსადენი.

2013 წლის 24 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N365 დადგენილების თანახმად, მილსადენის ოპერირებას (ექსპლუატაციას) ზედამხედველობას ამავე მილსადენის მესაკუთრე, ჩვენს შემთხვევაში შპს „კნაუფ გიპს თბილისი". მაგისტრალური მილსადენებს აქვთ **დაცვის ორი ზონა,** რომელთაგანაც თითოეული ვრცელდება გარკვეული მანძილით. კერძოდ, **დაცვის I ზონა ვრცელდება** მილსადენის ღერძიდან და/ან მილსადენთან დაკავშირებული ობიექტის პერიმეტრიდან 4 მეტრზე ყველა მხარეს. ხოლო **დაცვის II ზონა ვრცელდება** I ზონის გარეთა საზღვრიდან 6 მეტრზე (დაბალი წნევის გაზსადენებისთვის მუშა წნევით 0,3 მგპა-დან 1,2 მგპა-ს ჩათლით, როგორიც არის ჩვენი კუთვნილი მილსადენი).

ამავე დადგენილების მეხუთე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაცვის II ზონაში იკრძალება ნებისმიერი საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივი გაზის მილსადენის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევა, კერძოდ:

ა) ნებისმიერი სახის შენობის და/ან ნაგებობის მშენებლობა;

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
შემოსავლის № 97454/04
"18" 09 2019 წ.
371 ფურცელი

ბ) ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება;
გ) ნებისმიერი სახის შედუღება, ცეცხლის დანთება ან/და ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება;
დ) ადვილად აალებადი, კოროზიული ან ტოქსიკური სითხეების შენახვა ან დაღვრა;
ე) ფურაჟის, სასუქის და სხვა მასალების შენახვა;
ვ) მანქანების ან სხვა მოძრავი აგრეგატების გასაჩერებლად სადგომების მოწყობა;
ზ) დაღვრილი ნავთობის შეგროვების და გავრცელების შეკავების მიზნით მოწყობილი საცავების, არხების ან თხრილების შეცვლა ან დაზიანება;
თ) მაგისტრალური მილსადენის დამცავი ნაგებობების შეცვლა ან დაზიანება;
ი) ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზონის დატბორვა;
კ) იმ სახეობის ნარგავების დარგვა, რომლებიც არ არის ნებადართული ამ წესის დანართში მოცემული ნარგავების განთავსების სქემით.

ამავე დადგენილების მეხუთე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დაცვის II ზონაში ოპერატორის (მესაკუთრის) წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იკრძალება:

ა) ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული საქმიანობა;
ბ) 30 სმ-ზე მეტი სიღრმის ახალი საირიგაციო ან სადრენაჟო არხების გაყვანა;
გ) მიწის საფარის ამაღლება ან დადაბლება;
დ) ნებისმიერი დანიშნულების ჭაბურღილის მოწყობა.

ამავე დადგენილების მეხუთე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მაგისტრალური მილსადენის უსაფრთხოების III ზონაში ოპერატორის (მესაკუთრის) რეკომენდაციის და/ან ტექნიკური პირობის გარეშე იკრძალება:

ა) შენობა-ნაგებობების, მათ შორის, მასობრივი თავშეყრისათვის განკუთვნილი ნაგებობების მშენებლობა;
ბ) მსხვილ მუხტიანი აფეთქებები;
გ) წიაღისეულის მოპოვება;
დ) მდინარეების, არხების, წყალსაცავების, ტბების კალაპოტის შეცვლა ან ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობა.

შესაბამისად, გთხოვთ ამჟამად გასაცემი პრივატიზების ნებართვის გაცემის დროს გაითვალისწინოთ ზემოთ მითითებული აკრძალვები და მომავალ მესაკუთრეს ქონების პრივატიზირების შემთხვევაში, ქონების ამონაწერის ვალდებულებით ნაწილში მიეთითოს ზემოთ მითითებული შეზღუდვების თაობაზე.

ასევე, მომავალ მესაკუთრეს დაევალოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე აწარმოოს ნებისმიერი სამუშაოები/საქმიანობა შპს „კნაუფ გიპს თბილისის"-ს უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

ზემოთ მითითებული მოთხოვნების გარდა, რათქმაუნდა მომავალმა მესაკუთრემ უნდა დაიცვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, უსაფრთხოების წესები, ტექნიკური ნორმები და ამ სფეროში მოქმედი სხვა სავალდებულო ნორმატიული აქტები.

თანდართული დოკუმენტები:

1. საკადასტრო აზომვითი ნახაზი - 1 ფურცელი;
2. იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2156463?publication=5

პატივისცემით,
შპს „კნაუფ გიპს თბილისი"-ს
ტექნიკისა და წარმოების დირექტორი რევაზ გობაძე

საკონტაქტო ტელ: 577 379630
რევაზ ნარიმანიძე
შპს „კნაუფ გიპს თბილისი"-ს მთავარი ენერგეკიტი

ს ა კ ა დ ა ს ტ რ ო ა ზ ო მ ვ ი თ ი ნ ა ხ ა ზ ი

ნაკვეთის მისამართი	ქ. თბილისი, ქუჩა ქიზიყი, № 17/ ქ.თბილისი, ქუჩა ენუქიძის, № 7/ ქ. თბილისი, ქუჩა ქიზიყი, № 17, (ნაკვ. № 3/18) / ქ. თბილისი, ქუჩა ქიზიყი, № 17, (ნაკვ. № 3/31)		
ნაკვეთის დანიშნულება	არასასოფლო სამეურნეო		
კატეგორია	-------		
ნაკვეთის ფართობი	57407 კვ. მ.		
აზომვის თარიღი	23.06.2015	მასშტაბი	1:5000

შ. პ. ს. **MAGNITUDE**
ვ. ფშაველას V კვარტალი კორპუსი 4 ბინა №

ფაქტიური მის: სანაპიროს ქ. № 2 ა
I სადარბაზო სართული I
ტელ: 293 40 17



პირობითი აღნიშვნები

- გაზის მილი
- ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები
- შენობა

კომპიუტერული დამუშავება	გ. კუსრაშვილი
დამკვეთი	შპს „ანაფ გიპს თბილისი“ ID 205181532

პროექტცია: UTM 38 N
საკოორდინატო სისტემა: WGS 84

ნაკვეთის საზღვრები მითითებულია დამკვეთის მიერ